



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 24
30/03/2016

24-06-4-201603301551



განკარგულება №24

ქ. ოზურგეთი

30 მარტი 2016 წ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების და „გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 22 მაისის შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 22 მარტის N127/2016 განკარგულების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:

1. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები: ა) N60/16 საარჩევნო უბანში მდებარე გარე განათების ბოძები და მგზავრთა მოსაცდელი;

ბ) N60/59 საარჩევნო უბანში მდებარე გარე განათების ბოძები და მგზავრთა მოსაცდელი;

2. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

3. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა აკრძალულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;


4. დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს, საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე

ინფორმაცია, გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო